## ფრთხილად!

ფრთხილად!
ხელი არ შეახო ჩემს დაფარულ გულისძგერას,
თორემ ვფიცავ, არ დავინდობ შენს უმანკო ბედისწერას!
ფრთხილად, ფრთხილად! დაუკვირდი ჩემს ქცევას და თვალთი ცქერას
და ნუ ცდილობ თვალებიდან საიდუმლოს გადაწერას.
საიდუმლო მავიწყდება... ხსოვნის ფსკერზე დამარხული,
საიდუმლო, რომლის ტკივილს, განიცდიდა მარად გული,
საიდუმლო, რომლის სევდამ, გადმომღვარა სინანული,
საიდუმლო, რომლის გესლი სირცხვილივათ მდევდა, მდევდა,
საიდუმლო, რომლის სიღრმეს ვერ დაიტევს შენი სევდა!
ო, ამ მწარე .საიდუმლომ თავგანწირვა შექმნა მწარე,
და ამოსწვა ჩემი სული, ერთხელ წმინდა, მოელვარე...
და ამოსწვა, სული, მაგრამ შეუერთდა თვით ალს ნაქსოვს,
თვით დაიწვა, და გარწმუნებ, არაფერი დღეს არ მახსოვს.
მე არც ვნანობ! მეტსაც ვიტყვი, თუ დამჭირდა თვით სიკვდილად
მოვაჩვენებ ვისმეს ჩემს ბედს... შენ კი ფრთხილად,
ფრთხილად,
ფრთხილად!